საქართველოს მთავრობის

დადგენილება №28

2015 წლის 3 თებერვალი

ქ.თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 იანვრის №97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 იანვრის №97 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21.01.2014, 190020010.10.003.017716) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ექვსზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 33 ერთეულით (გარდა, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს, სადაც ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 32 ერთეულით,№2 დანართის შესაბამისად) და დამტკიცდეს ადმინისტრაციის საშტატო განრიგი და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები ამ დადგენილების №1 დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ექვსი და ექვსზე ნაკლები თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 32 ერთეულით (გარდა, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს, სადაც ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 33 ერთეულით) და დამტკიცდეს ადმინისტრაციის საშტატო განრიგი და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები ამ დადგენილების №2 დანართის შესაბამისად.“.

2. 1^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1^1

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^1, 27^2 მუხლებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებს - გუბერნატორებს დაუწესდეთ ყოველთვიური დანამატი 2950 ლარის ოდენობით.“.

3. №1 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

4. №2 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

,,დანართი №1

თანამდებობის დასახელება	**საშტატო ერთეულის რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარობით)**
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი	1	2950
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილე	1	2360
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე	2	2250
მდივანი-რეფერენტი	1	680
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი	**10**	
აპარატის უფროსი	1	1550
აპარატის უფროსის მოადგილე	1	1180
მთავარი სპეციალისტი	3	750
უფროსი სპეციალისტი	4	680
სპეციალისტი	1	550
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური	**11**	
სამსახურის უფროსი	1	1550
სამსახურის უფროსის მოადგილე	1	1180
მთავარი სპეციალისტი	4	750
უფროსი სპეციალისტი	4	680
სპეციალისტი	1	550
რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური	**7**	
სამსახურის უფროსი	1	1550
სამსახურის უფროსის მოადგილე	1	1180
მთავარი სპეციალისტი	2	750
უფროსი სპეციალისტი	2	680

სპეციალისტი	1	550
სულ:	33“.	

„დანართი №2

თანამდებობის დასახელება	**საშტატო ერთეულის რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარობით)**
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი	1	2950
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილე	1	2360
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე	2	2250
მდივანი-რეფერენტი	1	680
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატი	**10**	
აპარატის უფროსი	1	1550
აპარატის უფროსის მოადგილე	1	1180
მთავარი სპეციალისტი	3	750
უფროსი სპეციალისტი	4	680
სპეციალისტი	1	550
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური	**10**	
სამსახურის უფროსი	1	1550
სამსახურის უფროსის მოადგილე	1	1180
მთავარი სპეციალისტი	3	750
უფროსი სპეციალისტი	4	680
სპეციალისტი	1	550
რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური	**7**	
სამსახურის უფროსი	1	1550
სამსახურის უფროსის მოადგილე	1	1180
მთავარი სპეციალისტი	2	750
უფროსი სპეციალისტი	2	680
სპეციალისტი	1	550

სულ:	32	

შენიშვნა:

სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს, ჰყავს პირველი მოადგილე და სამი მოადგილე, შესაბამისად, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 33 ერთეულს.“.